

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N6

ქ.თბილისი

26 დეკემბერი, 2025 წელი
15⁰⁰საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბექა დავითულიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ლევან ჯაფარაძე

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე	არჩილ ნიჟარაძე
ლევან არველაძე	ბექა ოდიშარია
ალექსანდრე ასათიანი	შალვა ოგბაიძე
ირაკლი ბენდელიანი	ვალერიან პაპუაშვილი
კახა ბერაძე	შალვა პერანიძე
ნოდარ ბოკერია	მიხეილ რეხვიაშვილი
ბექა გელენავა	შალვა სუთიაშვილი
გიორგი გვენეტაძე	ვახტანგ სურგულაძე
მარიამ გრიგოლიშვილი	დავით ფანჯაკიძე
გიორგი დოხტურიშვილი	გიორგი ქარდავა
ნინო ვარდოსანიძე	შოთა ქევხიშვილი
კონსტანტინე ზარნაძე	ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი
ნიკოლოზ კახეთელიძე	ზურაბ ჩიკვილაძე
ვაჟა კოკია	ოთარ ჩრდილელი
ლალი კოლომიკოვი	გივი ჩხარტიშვილი
კახაბერ ლაბუჩიძე	ავთანდილ ცინცაძე
ბექა მენთეშაშვილი	ქეთევან ჭავჭავანიძე
ბექა მიქაუტაძე	დავით ჭელიძე
ალექსანდრე მუკათარიძე	მამუკა ხაბარელი
გურამ ნიკოლაშვილი	დავით ხაბეიშვილი
	ნიკოლოზ ჭუჭულაშვილი

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი სერგო ბირკაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი გიორგი კობიაშვილი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი ნინო ბაგაშვილი.

შპს „თბილსერვის ჯგუფის“ წარმომადგენელი - გიორგი ინაური.

ქალაქ თბილისის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი - ვახტანგ ლომჯარია.

ქალაქ თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი - ნინო ლომინაძე.

სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, განცხადებები გააკეთეს საკრებულოს წევრებმა:

ზურაბ აბაშიძემ აღნიშნა, რომ დღეს არის 2025 წლის ბოლო სხდომა. საკრებულოს წევრობა არის უდიდესი პასუხისმგებლობა. 2025 წელს ჩატარდა 17 სხდომა და განხილული იქნა 730 საკითხი, რომელიც შეეხებოდა ბიუჯეტს - სოციალურ პროგრამებს, გზების, ეზოების, სკოლების, მუნიციპალური ტრანსპორტისა და საბავშვო ბაღების მოსაწესრიგებლად. იყო დისკუსიები, მაგრამ, მიზანი იყო ერთი - თბილისელების ინტერესები. მადლობა გადაუხადა საკრებულოს თითოეულ დეპუტატს, თბილისის მერს, მერიის გუნდს, საკრებულოს აპარატის თანამშრომლებს ერთობლივი მუშაობისთვის. „წინ კიდევ ბევრი საქმე გველის, რომელიც მეტ შრომას და მეტ პასუხისმგებლობას მოითხოვს.“

კონსტანტინე ზარნაძემ განაცხადა, რომ მიმდინარე წელმა და თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვებამ, კიდევ ერთხელ დაადასტურა მმართველი გუნდის მიმართ ხალხის ნდობა. მან შეაჯამა 2025 წლის ძირითადი შედეგები: მწვანე სივრცეები, 700 სკვერის რეაბილიტაცია, სატრანსპორტო პოლიტიკა, ჯანდაცვის პროგრამების განხორციელება, ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამა და დაუმთავრებელი მშენებლობებით დაზარალებული ოჯახების დაკმაყოფილება. კონსტანტინე ზარნაძის განცხადებით, არჩევნების შედეგებმა წერტილი დაუსვა ყოველგვარ სპეკულაციას და ხალხმა დაინახა, ვინ აშენებს და ვინ ცდილობს პროცესების შეჩერებას. „ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას მხოლოდ ერთი მიზნით: მეტი კეთილდღეობა თითოეულ თბილისელს“.

ბექა ოდიშარიამ განაცხადა, რომ დაესწრო საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის მე-8 სხდომა, სადაც მე-3 ვადით, პრეზიდენტად აირჩიეს კახა კალაძე, ხოლო პირველ ვიცე-პრეზიდენტად - ზურაბ აბაშიძე. მიულოცა და წარმატებები უსურვა მათ. შეეხო ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და აღნიშნა, რომ გასული წელი იყო რეკორდული საქართველოს და არჩეული ხელისუფლების წინააღმდეგ ნაწარმოები კამპანიებით. უკმაყოფილება გამოთქვა მთავარ გამზირზე მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით და გარედან დაფინანსებული და შეცდომაში შეყვანილი ადამიანები უწოდა მათ. ბექა ოდიშარიამ მადლობა გადაუხადა თბილისის და თბილისელებს ნდობისთვის.

ვახტანგ სურგულაძემ, განაცხადა, რომ საჭიროა ვისაუბროთ საქმეზე, არაა მიზანშეწონილი ოპოზიციის დაუმსახურებელი კრიტიკა, მაშინ, როცა საქართველოს ხელისუფლების პირობებში, ქვეყანა კორუფციაშია ჩაფლული. „არაა საჭირო ბრალდებები, მთავარია ერთად მუშაობით დავძლიოთ პრობლემები, ვაკეთოთ ბევრი სიკეთე და ვიამაყოთ გაკეთებული საქმეებით“.

ბექა დავითულიანმა კოლეგებს მიულოცა დამდეგი ახალი წელი და აქტიური, წარმატებული და გულწრფელი საქმიანობა უსურვა.

გიორგი გვენეტაძემ განაცხადა, რომ „ორი თვეა საკრებულოში ვარ და ამ ხნის მანძილზე ამ დარბაზში ვიწონებთ მერის მიერ შემოთავაზებულ ყველა ინიციატივას. გარდა ამისა, ვსაუბრობთ იმაზე, როგორ დავხარჯოთ სხვისი ფული, ვაწესებთ რაღაც ახალ რეგულაციებს, ვზრდით ჯარიმებს, ვახანგრძლივებთ ჯარიმის გადახდის დროს. სხვადასხვა შემთხვევებში პრივილეგიებს გავცემთ. მართლა მგონია, რომ ქართველი ხალხი ასეთ დამოკიდებულებას არ იმსახურებს. თბილისელებს ჭირდებათ თავისუფლება, საკუთრების დაცვა და სამართლიანობის განცდა“-აღნიშნა მან.

გივი ჩხარტიშვილმა განვლილი წელი შეაჯამა. ოპოზიციას მუშაობაში აქტიური ჩართვისკენ მოუწოდა და საქართველოს მოქალაქეებს დამდეგი ახალი წელი მიულოცა.

ნოდარ ბოკერია გამოეხმაურა ვახტანგ სურგულაძის განცხადებას და განაცხადა, რომ უხერხულია, როდესაც ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე უარყოფით კონტექსტში საუბრობს ადამიანი, რომლის პარტიის ერთ-ერთ ლიდერიც ტერორიზმის აქტშია მხილებული. „ქვეყნის ხელმძღვანელობამ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა პრიორიტეტად გამოაცხადა. საქართველო

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მაჩვენებლით მალე მოწინავე ქვეყნებში ლიდერი გახდება“-
განაცხადა მან.

სხდომის თავმჯდომარემ, ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი
სახით:

დღის წესრიგი:

1.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის
დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

2.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების
შესახებ

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

3.საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M₁ კატეგორია) გადაყვანის
„A“ კატეგორიის ნებართვის გაცემის ფასის გადახდის საქმეში არსებული დავალიანებისგან
გათავისუფლების შესახებ

მომხსენებელი: ნინო ზაგაშვილი

4.„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული
სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M₂ კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების
თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47
დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხსენებელი: ნინო ზაგაშვილი

5.„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული
სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M₃ კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების
თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48
დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხსენებელი: ნინო ზაგაშვილი

6.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და
ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის გამოყენებაზე ქალაქ
თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

მომხსენებელი: გიორგი ინაური

7.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
„სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის“ (ს/ნ. 402314170) ლიკვიდაციის დაწყების თაობაზე
თანხმობის მიცემის შესახებ

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

8.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლების გამოსყიდვის წესის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

9.ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე, ნინო ბააშვილი

10.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

11.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: ნინო ლომინაძე

12.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: ნინო ლომინაძე

13.„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ თაობაზე

მომხსენებელი: ვახტანგ ლომჯარია

14.ქალაქ თბილისში, ზესტაფონის ქ. №23ა-ში მდებარე №1 და №8 ბინების (საკადასტრო კოდები: №01.12.12.001.407.01.01.001; №01.12.12.001.407.01.01.008) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

15.ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის დასახლება, IV მიკრო/რაიონი; ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის საცხოვრებელ რაიონს შორის მდებარე №26 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.19.36.016.011.01.01.026), ქალაქ თბილისში, სოფელი დიღომი, ვეფხისტყაოსნის ქ. №22-ში მდებარე №125 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.72.14.035.963.01.01.125) და ქალაქ თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქ. №58-ში მდებარე №22 და №112 ბინების (მშენებარე) (საკადასტრო კოდები: №01.12.12.002.078.01.01.022; №01.12.12.002.078.01.01.112) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

16.ქალაქ თბილისში, ვახტანგ ნინუას ქუჩა №3-3-ში მდებარე №66 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.12.12.001.414.01.01.066) და ქალაქ თბილისში, ალექსანდრე წულუკიძის ქუჩა №27-ში მდებარე №7 ბინის (საკადასტრო კოდი: №01.17.10.002.264.01.01.007) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

17.ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა №173-ში, კორპუსი №5-ში (საკადასტრო კოდი: №01.16.09.001.001) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

18.„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ჰორვატს“-ს (ს/ნ. 405349154) შორის 2021 წლის 24 მარტს გაფორმებული „ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, მოწის ქუჩა №2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ. 01.14.01.008.045) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატისათვის“ (ს/კ. 405349154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხის შეთანხმების შესახებ

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

19.„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „არომას“ (ს/ნ. 245599990) შორის 2022 წლის 23 აგვისტოს გაფორმებულ „ქ. თბილისში, დიდი დიდმის დასახლება, III და IV მიკრორაიონებს შორის №01.10.07.007.104 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 19000 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „არომასთვის“ (ს/ნ. 245599990), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ " " ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხის შეთანხმების შესახებ

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

20.ქ. თბილისში, აბანოს ქუჩა №11-ის მიმდებარედ 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.18.03.063.055) 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნარიყალასთვის“ (ს/ნ. 204380678) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით, გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

21.ქალაქ თბილისში, ეკლესიის ქ. №1-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.12.13.050.003) ტერიტორიაზე 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გეოენერჯი-სერვის კომპანისთვის“ (ს/ნ. 406448642) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

22.ქ. თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩა №23-ის მიმდებარედ 74 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.013.048) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბიემესისთვის“ (ს/ნ. 404895716) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

23.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/ნ. 404391136) შორის 2024 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

24.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თაბორი რიზორტის“ (ს/ნ. 405147755) შორის 2016 წლის 13 მაისს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-308-26-19647 ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დადასტურების საკითხის მოწონების შესახებ

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

25.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ. 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-1-30669 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონების შესახებ

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

26.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ. 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-2-30670 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონების შესახებ

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

27.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ბრბ სოლარს“ (ს/ნ. 404746673) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-3-30671 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონების შესახებ

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

28.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს“ (ს/ნ. 405493194) შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დადებულ „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „კორტების“ გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

29.ქ. თბილისში, ვერის პარკში მდებარე განსაზღვრული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.15.03.010.115, №01.15.03.010.114) შპს „გრატო მენეჯერისთვის“ (ს/ნ. 404920387) და შპს

„სანისთვის“ (ს/ნ. 406033983) აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2012 წლის 30 აპრილის №01-4/47 ბრძანების დანართით განსაზღვრულ აღნაგობის პირობებში ცვლილებების შეტანისა და შპს „ხულიგანას“ (ს/ნ. 404386133) მიმართ გასატარებელი რიგი ღონისძიებების თაობაზე

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

30. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ოთარ ონიაშვილის ქუჩა №72-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.10.12.043.016, ფართობი - 466 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

31. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვიქტორ კუპრადის ქუჩა, №16-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.19.36.014.780, ფართობი - 2763 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

32. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

33. ქალაქ თბილისში, ინოვაციების ქუჩა, №5-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.15.07.002.057; 01.15.07.002.055) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

34. ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, შავნაბადას ქუჩა, №41; №49; №51; №45; №39; №47; №43-ში; ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, მუხრან-თელეთის ქუჩა №26; №28; №16; №18; №22; №30; №24; №20-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: №01.81.02.389.038; №81.02.05.367; №81.02.05.740; №01.81.02.389.037; №01.81.02.389.041; №01.81.02.389.050; №01.81.02.370.038; №01.81.02.389.036; №01.81.02.389.040; №01.81.02.389.074; №01.81.02.389.085; №01.81.02.389.077; №01.81.02.389.079; №01.81.02.389.083; №01.81.02.389.072; №01.81.02.389.075) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

35. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №81.02.19.572; №81.02.13.762; №81.02.19.158; №81.02.13.835; №81.02.13.551; №81.02.19.722; №81.02.19.135; №81.02.19.571; №81.02.96.930; №81.02.97.489; №81.02.96.605; №81.02.95.072; №81.02.19.569; №81.02.19.157; №01.81.02.280.012; №01.81.02.200.001) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 მაისის №253 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

36., ქალაქ თბილისში, ალექსი გობრონიძის ქუჩა, № 25ა, №25 -ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №01.11.17.004.222; №01.11.17.004.445) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 ივნისის №252 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

37. ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, გიორგი შატერაშვილის ქუჩა, №3; ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, სოფელ კიკეთში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.81.01.145.003, №81.01.01.337) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

38., ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა №27-ში (ნაკვ. №07/048), ქიზიყის ქუჩა №27-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.19.24.007.275; №01.19.24.007.803) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ლოჯისტიკური და საოფისე ცენტრის (საწყობები) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 23 იანვრის №13 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

39., ქალაქ თბილისში, წულაძის ქუჩა №34-ში (საკადასტრო კოდები: №01.17.11.034.067; №01.17.11.034.069; №01.17.11.034.068) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის №137 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

40. ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი №74-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, იასონ ლორთქიფანიძის ქუჩა, № 16ბ; ქალაქი თბილისი, კახეთის გზატკეცილი №74-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი, მე-12 კილომეტრზე , (ნაკვ. 01/025; (ნაკვ. 01/024)); ქალაქი თბილისი, დასახლება ორხევი, (ნაკვ:1/17); ქალაქი თბილისი, იასონ ლორთქიფანიძის ქუჩა, №16ა; არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: №01.19.17.002.164-ის ნაწილი; №01.19.17.001.214; №01.19.17.002.165; №01.19.17.001.025; №01.19.17.001.007; №01.19.17.001.215; №01.19.17.001.217) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

41. მისამართზე - ქ. თბილისი, ზურა მირაქიშვილის ქუჩა №31 (ყოფილი - ქ. თბილისი, გლდანის VII მიკრო/რაიონი, კორპუსი №6ბ-ს მიმდებარედ; გლდანის VII მიკრო/რაიონი, კორპუსი №15-

ის მიმდებარედ) (საკადასტრო კოდი: №01.11.10.004.148) მდებარე ობიექტისათვის დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭების თაობაზე

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

42.მისამართზე - ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი № 9ა,ბ,გ ს/კ. №01.17.12.003.255 (ამჟამად ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი № 9ა - ს/კ. №01.17.12.003.255; მოსკოვის გამზირი № 9ბ,გ - ს/კ. №01.17.12.003.276) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის ფარგლებში შპს „მეტი დეველოპმენტის“ (ს/ნ. 404568384) და მასთან აფილირებული კომპანიების დაზარალებულ პირთა მიმართ თანხის სახით შესასრულებელი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

43.„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

44.„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

45.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2026 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

მომხრე - 43

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

1.„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და აღნიშნა, რომ შეიცვალა საბაზისო ხელფასები და ამიტომ საჭიროა საშტატო ნუსხის გადამტკიცება.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი:

მომხრე - 38

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და აღნიშნა, რომ შეიცვალა საბაზისო ხელფასები და ამიტომ საჭიროა საშტატო ნუსხის გადამტკიცება. გარდა ამისა, მთაწმინდის რაიონის გამგეობის საშტატო ნუსხაში არის ტექნიკური ხარვეზი (პდფ ფაილში არ ჩანს დასამტკიცებელი სარგოები) და გვიწევს ტექნიკური ხარვეზის დაზუსტება და საკითხის წარმოდგენილი თანდართული სახით დამტკიცება.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი:

მომხრე - 38

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

3. „საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M₁ კატეგორია) გადაყვანის „A“ კატეგორიის ნებართვის გაცემის ფასის გადახდის საქმეში არსებული დავალიანებისგან გათავისუფლების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და აღნიშნა, რომ ცვლილება ითვალისწინებს ა კატეგორიის ლიცენზიის სანებართვო დავალიანების ჩამოწერას მფლობელებისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი:

მომხრე - 40

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M₂ კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და აღნიშნა, რომ ცვლილება ითვალისწინებს ავტობუსების უკვე არსებული მარშრუტების ასახვას.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი:

მომხრე - 41

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M₃ კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და აღნიშნა, რომ ცვლილება ითვალისწინებს ავტობუსების მარშრუტების ცვლილებას.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი:

მომხრე - 37

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის გამოყენებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა შპს „თბილსერვის ჯგუფის“ წარმომადგენელმა გიორგი ინაურმა და განმარტა, რომ საკითხი ეხება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაგვა-დასუფთავებას, წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირებას, დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვა - ამოღებას.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი:

მომხრე - 41

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის“ (ს/ნ. 402314170) ლიკვიდაციის დაწყების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ „ადამიანის სისხლის და მისი კომპონენტების ხარისხისა და უსაფრთხოების შესახებ“ კანონში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც ცენტრალიზებულად უკვე დაფუძნდა შესაბამისი დაწესებულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა, განხორციელდეს ააიპ „სისხლის გადასხმის სადგურის“ ლიკვიდაციის პროცესი.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი:

მომხრე - 37

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლების გამოსყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ სხდომაზე წარადგინა მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია პროგრამა, რომელიც ეხება კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული სახლების გამოსყიდვას. წარმოდგენილია რამდენიმე მთავარი პირობა: ავარიული საცხოვრებელი სახლი უნდა იყოს მე-4, მე-5 ხარისხის დაზიანების. აუცილებელია ყველა მესაკუთრის თანხმობა. გამოსასყიდი ობიექტი უნდა იყოს უფლებრივად უნაკლო. დემონტაჟმა არ უნდა მოახდინოს ზეგავლენა მომიჯნავედ მიწის ნაკვეთზე არსებულ შენობა-ნაგებობაზე. აღნიშნული პროექტი გავრცელდება მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზე და არა ინდივიდუალურ სახლებზე. გამოსყიდვას დაექვემდებარება რეგისტრირებული ყველა საკუთრების ობიექტი, გარდა გამოწვევისა. კერძოდ, გამოსყიდვას არ დაექვემდებარება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საერთო ქონება (დერეფანი, ეზო, ავტოსადგომები, და ა.შ.). სხვენი და ტერასა გამოსყიდვას

დაექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ფართები კეთილმოწყობილი და საცხოვრებლად გამოყენებულია. ასევე, გამოსყიდვას არ დაექვემდებარება, ამ წესის ამოქმედების შემდეგ რეგისტრირებული სხვანი და ტერასა. შეფასება გაკეთდება სამხარაულის ეროვნული ბიუროს მიერ. დემონტაჟის შემთხვევაში, გამოსყიდვას დაექვემდებარება მხოლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ფართები.

ნინო ვარდოსანიძემ აღნიშნა, რომ დიდი შრომა იქნა გაწეული აღნიშნული პროექტის შემუშავებაში. ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ შედგა ოპტიმალური ვერსია და მადლობა გადაუხადა ყველას, ვინ ჩართული იყო წესის შემუშავების პროცესში.

ზურა ჩიკვილაძემ განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ პროექტის შემუშავებაში. „პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია. საწყის ეტაპზე ამ პროექტისთვის 100 მილიონი უკვე გამოყოფილია. სიკეთის და სწრაფად წინსვლის იმედი მაქვს. არის ძალიან ბევრი ოჯახი, რომლებიც ავარიულ სახლებში ცხოვრობენ, ჩვენ კი გამოსყიდვის გზით, მათი დახმარების საშუალება გავვიჩნდა“-განაცხადა მან.

კახაბერ ლაბუჩიძე გამოეხმაურა საკითხს და განაცხადა, რომ „ეს იყო ჩვენი წინასაარჩევნო დაპირება, რომელიც სრულდება. მოგეხსენებათ, ჩემი სამაჟორიტარო ოლქის 50% ისტორიული არეალია. ჩვენ გვაქვს მოსახლეობასთან მუშაობის დიდი გამოცდილება. პროცესი იქნება მაქსიმალურად ღია. თუ მოსახლეობის მხრიდან გაჟღერდება საინტერესო წინადადებები, ჩვენ მზად ვართ, ისინი ოპერატიულად ავსახოთ და წესში დაუყონებლივ შევიტანოთ ცვლილებები“.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი:

მომხრე - 37

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

9.“ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განაცხადა, რომ ცვლილება ეხება მე-16 მუხლის შესაბამის მაკომპენსირებელ ღონისძიებებს. ცვლილების ფარგლებში ხდება აღნიშნული მაკომპენსირებელი ოდენობის გაანგარიშების ცვლილება ყველა მიწის ნაკვეთისთვის. როგორც კერძო საკუთრებისთვის, ისე მუნიციპალიტეტის მიერ პრივატიზირებული მიწის ნაკვეთებისთვის. ფასთაშორის სხვაობა 30%-ის ნაცვლად იქნება 100%, გარდა სატრანსპორტო ზონა 1, სატრანსპორტო ზონა 2 და სატრანსპორტო ზონა 3-ისა.

ეს ცვლილება ავარიული სახლების გამოსყიდვის წესიდან გამომდინარეობს. 21-მუხლში დაზუსტდება, რომ როდესაც მოხდება ავარიული სახლების გამოსყიდვა, შემდგომ ამ ტერიტორიის საინვესტიციოდ მომზადება იგეგმება, რაც გულისხმობს შესაბამისი დაზუსტებული პარამეტრების დადგენასაც - აღნიშნა სერგო ბირკაძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი:

მომხრე - 39

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ სხდომაზე წარადგინა მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ ბიუჯეტის მიღებიდან გამომდინარე, აღნიშნული წესი ყოველწლიურად მტკიცდება. შედის მხოლოდ ერთადერთი დამატება. ქირების შეწყვეტის გარკვეული საფუძვლები დადგინდა. მაგ. ზოგიერთი ადამიანი მუნიციპალიტეტიდან იღებს ქირის თანხას და როდესაც ხდება ავარიული სახლის ჩანაცვლების განხორციელების დაწყება, უარს აცხადებს ამ პროგრამაში მონაწილეობაზე. იმ შემთხვევებში, თუ მესაკუთრე იღებს ქირას, მაგრამ უარს განაცხადებს რომელიმე პროგრამაში მონაწილეობაზე, მას 6 თვის შემდეგ შეუწყდება აღნიშნული ქირის მიღება. ხოლო, თუ ისევ განაცხადებს თანხმობას, აღუდგება ქირის გადახდა.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი:

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ნინო ლომინაძემ და განმარტა, რომ ცვლილება შედის 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დახმარების პროგრამაში. თანხა 400 ლარის ნაცვლად განისაზღვრა 500 ლარით. უსინათლოების 300 ლარის ნაცვლად 350 ლარი. ასევე, ცვლილება ეხება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებისა და სასახლის ქვეპროგრამას. გადასახდელი მინიმალური ტარიფი განისაზღვრა 50 ლარის ოდენობით.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი:

მომხრე - 37

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ნინო ლომინაძემ და განმარტა, რომ დაავადების სკრინინგის პროგრამაში შეიცვალა ერთ-ერთი მომსახურების ტარიფი. აუტიზმის სპექტრის მქონე ბენეფიციარებისთვის, დაწესებულება თავად შეაფასებს მშობელთა ჩართულობის აუცილებლობის ინტენსივობას სეანსების მიმდინარეობის პროცესში. ღეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაციის პროგრამას დაემატა სიმსივნის 7 დასახელება.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი:

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა ვახტანგ ლომჯარიამ და განმარტა, რომ ცვლილება ეხება ტრანსპორტისა და სპორტის სექტორებისთვის ქონების გადასახადზე შეღავათების გაგრძელებას. დადგენილი ქონების გადასახადის შეღავათიანი განაკვეთის მოქმედების ვადის გაგრძელებას, აღნიშნული სუბიექტების ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებას. პროექტით განისაზღვრება, რომ აღნიშნული შეღავათი გაგრძელდება 2028 წლის 1 იანვრამდე.

